საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 65 2023 წლის 16 თებერვალი ქ. თბილისი

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ³“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია“ (შემდგომში – მეთოდოლოგია) თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, კოორდინაცია გაუწიოს მეთოდოლოგიის შესაბამისად საინვესტიციო/ კაპიტალური პროექტების მართვის დანერგვის პროცესს.

მუხლი 3

1. ცენტრალური ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების მხარჯავმა დაწესებულებებმა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მომზადებისას

უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტებზე, რომელთა განხორციელების თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილება მიღებულია და დაწყებულია შესყიდვების პროცედურები ამ დადგენილების ამოქმედებამდე.

3. ეთხოვოთ ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების საფინანსო ორგანოებს, კოორდინაცია გაუწიონ აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესს.

მუხლი 4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, ამტკიცებს:

ა) საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეებს, მათ ღირებულებებსა და გაანგარიშების მეთოდოლოგიას;

ბ) საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებსა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესს.

მუხლი 5. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილება.

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**